ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

01/08/2024

MES 4 24 0000933558

გადაწყვეტილება

„სსიპ- ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N 1592651 ოქმის მეხუთე ნაწილში ნაწილში ცვლილების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. **შევიდეს ცვლილება22 ნოემბრის N1592651 ოქმის მეხუთე ნაწილში და რედაქცია:**

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.“

„საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: შენობა ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, ვებ-გვერდის სრულყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.“

„საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: შენობა ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, ვებ-გვერდის სრულყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 1-ლი აგვისტოს N932465 სხდომის ოქმის მეთხუთმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

ელექტრონული
მფლობელსაღიარ
ელექტრონულად